

ჭიპაშვილი სვანეთის სტიქიაზე : მაღალსანდოობის ინსტიტუტმა უნდა გამოიძიოს სვანეთში ბუნებრივი კატასტროფა მოხდა თუ ჩარევის შედეგად განხორციელებული ქმედება

00:13 07-07-2018

19



"ჩვენ ვითხოვთ, მონვეული იყოს საერთაშორისო გარემოზე ზემოქმედების კომისია, ან ნებისმიერი მაღალსანდოობის მქონე ინსტიტუტი, რომელიც პირველ რიგში, გამოიძიებს რა მოხდა სვანეთში, იყო ბუნებრივი კატასტროფა, თუ რაიმე ჩარევის შედეგად განხორციელებული ქმედება", - ამის შესახებ "მწვანე ალტერნატივის" წარმომადგენელმა, დავით ჭიპაშვილმა, სვანეთში მომხდარ სტიქიაზე საუბრისას, გადაცემა "თავისუფალ სივრცეში" განაცხადა.

"ჩვენ არ ვენდობით არავითარი კომპანიის მხრიდან დაქირავებული გეოლოგების რაღაც დასკვნებს, რომლებიც რაღაც მიზეზებს დაწერენ. ჩვენ ვითხოვთ, მონვეული იყოს საერთაშორისო გარემოზე ზემოქმედების კომისია, ან ნებისმიერი მაღალსანდოობის მქონე ინსტიტუტი, რომელიც პირველ რიგში, გამოიძიებს რა მოხდა სვანეთში, იყო ბუნებრივი კატასტროფა, თუ რაიმე ჩარევის შედეგად განხორციელებული ქმედება. შემდეგ უკვე გაივლის შეფასებებს და დადებს დასკვნას არის თუ არა ამ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში გათვალისწინებული და შეფასებული ყველა ის საფრთხე და რისკი, რომელიც მომდინარეობს "ნესკრაჰესიდან", - განაცხადა ჭიპაშვილმა.